

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეცენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციების თაობაზე

ოჯახის დაგეგმვა

ნაციონალური გაიდლაინი

სრული ვერსია

დავალების განმარტება;

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა განიხილა და მოამზადა რეცენზია ოჯახის დაგეგმვის განხორციელების მიზნით კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოს თაობაზე.

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო შეაფასა საოჯახო მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა.

I. ზოგადი კომენტარები

გაიდლაინის შემუშავებისთვის შესრულებულია ვრცელი და ყოვლისმომცველი სამუშაო, რაც უდავოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. გაიდლაინი ეყრდნობა უახლეს საერთაშორისო რეკომენდაციებს და მეცნიერულ მტკიცებულებებს, ამდენად იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქართველ პროფესიონალებს ოჯახის დაგეგმვის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებაში.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოა წარმოდგენილი (ცხრილები, სქემები) ინფორმაცია კონტრაცეფციის მეთოდების გამოყენების და პაციენტთა კონსულტირების გზების თაობაზე, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

გაიდლაინის შინაარსი

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია მსოფლიოში ჩატარებული სარწმუნო კვლევების შედეგები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. მითითებულია მტკიცებულებების ხარისხი.

გაიდლაინში კარგადაა ჩამოყალიბებული პრობლემის განმარტება, განხილულია კონტრაცეფციის ხელმისაწვდომი ყველა მეთოდი ცალ-ცალკე, მისი უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები, მოსალოდნელი გვერდითი მოვლენები, შესაძლო რისკები და გამოყენების ტექნიკა.

პროტოკოლების მნიშვნელობა

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნულ მეთოდების პრაქტიკული გამოყენების საკითხებზე პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის პროტოკოლების ჩამოყალიბებას.

II. სპეციფიკური კომენტარები

- მნიშვნელოვანი სპეციფიკური შენიშვნები არ გაგვაჩნია.

რედაქციული ხასიათის შენიშვნები:

საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილია გაიდლაინის ტექსტური რედაქტირება.

დასკვნა:

- რეცენზირებული სახელმძღვანელო, მისი ამომწურავი შინაარსის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს;
- სასურველია, რომ რეცენზირებული სახელმძღვანელოს საფუძველზე შემუშავდეს უფრო გამარტივებული და პრაქტიკული მნიშვნელობის სტანდარტები (პროტოკოლები), რომელიც შესაბამისობაში იქნება პირველადი სამედიცინო მომსახურების მოდელის ლოკალურ შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან.